

2011

განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის
საერთაშორისო ინსტიტუტი

თამარ ბრეგვაძე, გიორგი მაჩაბელი, რევაზ აფხაზავა

კერძო რეპეტიტორობა საქართველოში

ტენდენციები, კონტექსტი და შესაძლო გადაწყვეტილებები



შესავალი

განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი კერძო რეპეტიტორობის თემაზე 2003 წლიდან მუშაობს. განათლების პოლიტიკის ცენტრების საერთაშორისო ქსელის ფარგლებში 2003 -2006 წლებში ინსტიტუტმა განახორციელა კერძო რეპეტიტორობის ფენომენის კვლევის პირველი ციკლი საქართველოში. ქვეყნის ანგარიში ინტეგრირებული იქნა საერთაშორისო ანგარიშში, რომელმაც თავი მოუყარა ინფორმაციას კერძო რეპეტიტორობის მასშტაბების, სტრუქტურისა და ინტენსივობის შესახებ კიდევ შვიდ ქვეყანაში. ამ საერთაშორისო კვლევის ფარგლებში საქართველოსთან ერთად ჩართული იყო აზერბაიჯანი, ხორვატია, მონღოლეთი, ბოსნია, ლიტვა, პოლონეთი და სლოვენია.

მიუხედავად იმისა, რომ კერძო რეპეტიტორობას „მსოფლიო მეგატრენდს“ უწოდებენ (Baker, LaTendre, 2005) კვლევის პირველი ეტაპის განხორციელების მომენტში იგი ნაკლებად იყო შესწავლილი და ამ თემაზე შესაბამისი კვლევებიც არ არსებობდა. 2003 წლიდან კერძო რეპეტიტორობის თემაზე ბევრი საინტერესო სამეცნიერო ლიტერატურა შეიქმნა, რომელიც ამ ფენომენს სოციალურ, საგანმანათლებლო და ეკონომიკურ კონტექსტში მიმოიხილავდა. კვლევითი პროექტები განხორციელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში (Nishio, 2007, Primont, Domazlicky, 2005), ბანგლადეშში (Nath, 2008), პორტუგალიაში (Ventura, Neto-Mendes, Costa, Azevedo, 2006) და შრი ლანკაში (Glewwe & Jayachandran, 2008). აგრეთვე, საკითხის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა განათლების პოლიტიკის ცენტრების საერთაშორისო ქსელის კვლევის ფარგლებში გამოცემულმა წიგნმა „კერძო რეპეტიტორობის მონიტორინგი (Silova, Budiene და Bray, 2006).

მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილმა ნაშრომებმა ხელი შეუწყო კერძო რეპეტიტორობის ფენომენის გააზრების ბევრ საინტერესო ასპექტს, მაინც შეიმჩნევა გარკვეული ინერტულობა კერძო რეპეტიტორობის პრობლემაზე რეაგირებში ცალკეული ქვეყნების მაგალითზე.

მოცემული დოკუმენტი მოკლედ მიმოიხილავს კვლევის მეორე ეტაპის შედეგებს, რომელიც 2009 -2010 წელს განხორციელდა. კვლევის პირველი ეტაპისაგან განსხვავებით, ამ ეტაპზე მთავარი აქცენტი გაკეთდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების პოზიციების დაფიქსირებაზე კერძო რეპეტიტორობის საკითხთან დაკავშირებით და ამ მხარეებთან თანამშრომლობით კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებაზე ფენომენის რეგულირებისათვის.

კვლევის მეორე ეტაპზე საერთაშორისო ანგარიშის შემუშავებაში საქართველოსთან ერთად ჩართული იყო აზერბაიჯანი, ხორვატია, მონღოლეთი, ბოსნია და ესტონეთი.

კერძო რეპეტიტორობა - მსოფლიო პრაქტიკა და საქართველო

კერძო რეპეტიტორობა მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ფენომენია, რომელიც ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის

პარალელურად არსებობს. კერძო რეპეტიტორობა მნიშვნელოვან მასშტაბებს აღწევს გეოგრაფიული მდებარეობისა და განვითარების მხრივ იმდენად განსხვავებულ ქვეყნებში, როგორცაა რუმინეთი, ეგვიპტე, კენია, მაროკო, ტაივანი, სინგაპური, იაპონია, კამბოჯა, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი (Dang და Rogers, 2008). საერთაშორისო კვლევები ცხადყოფს, რომ მისი მასშტაბები ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა ქვეყნებში 10%-დან 90%-მდე მერყეობს.

ზოგიერთ ქვეყანაში კერძო რეპეტიტორობა აკრძალულია. მაგალითად, ასეთი ქვეყნებია კამბოჯა, მაურიტუსი, კორეა (Bray, 1999a). ზოგიერთ ქვეყანაში კი სახელმწიფო ამ ფენომენის რეგულირებაში საერთოდ არ ერევა. მაგალითად, იაპონიაში კერძო რეპეტიტორობა ძალიან შემოსავლიან ბიზნესს წარმოადგენს.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში საკითხისადმი ასეთი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ეს ფენომენი არ განიხილება, როგორც ცალსახად უარყოფითი. უარყოფითი შედეგების გარდა, როგორცაა კორუფცია, უთანასწორობა განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით, კერძო რეპეტიტორობას დადებითი შედეგებიც აქვს. მაგალითად, იგი აკომპენსირებს საგანმანათლებლო პროცესის ხარვეზებს და ხელს უწყობს ადამიანური კაპიტალის განვითარებას.

* * *

[კერძო რეპეტიტორობა არის სასკოლო საგნებში ფასიანი მომზადების პრაქტიკა, რომელიც ხორციელდება ფორმალური სასწავლო პროცესის პარალელურად. კერძო რეპეტიტორობა მოიცავს ინდივიდუალურ ფასიან გაკვეთილებს, ისევე როგორც ჯგუფურ ფასიან გაკვეთილებს, რომლებსაც უზრუნველყოფს კერძო პირი ან ორგანიზაცია]

2004 წელს საქართველოში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს დაახლოებით 80 % კერძოდ ემზადებოდა რეპეტიტორთან. აბიტურიენტთა დაახლოებით ნახევარი თვლიდა, რომ კერძო რეპეტიტორის გარეშე შეუძლებელი იყო ხარისხიანი განათლების მიღება. კერძო რეპეტიტორობის გავრცელებულობის კუთხით საქართველო კვლევაში მონაწილე ქვეყნებიდან მხოლოდ აზერბაიჯანს ჩამოუვარდებოდა.

კერძო რეპეტიტორობის მასშტაბებს, ძირითადად, განაპირობებდა იმ რეპეტიტორებზე მაღალი მოთხოვნა, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ჩასარიცხ კომისიებში იყვნენ წარმოდგენილნი. იმ ეტაპისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღების განსხვავებული სისტემა მოქმედებდა - გამოცდები ტარდებოდა დეცენტრალიზებულად, ცალკეული უმაღლესი სასწავლებლის დონეზე. გამოკითხულ აბიტურიენტთა აზრით, სამიზნე უმაღლესი სასწავლებლის პროფესორთან მომზადება მნიშვნელოვნად ზრდიდა მათს შანსებს, მოხვედრილიყვნენ ამ უმაღლეს სასწავლებელში.

სტუდენტების პროცენტი, რომელიც კერძოდ ემზადება რეპეტიტორთან, 2004 წელი:

აზერბაიჯანი	92%
საქართველო	76 %
უკრაინა	68%
მონღოლეთი	67%
ლიტვა	58%
პოლონეთი	50%
სლოვაკეთი	35%
ბოსნია	31%
ხორვატია	28%

2004 წლის შემდეგ საქართველოში კერძო რეპეტიტორობის ზუსტი მასშტაბების დადგენის მცდელობა არ განხორციელებულა, თუმცა განათლების სფეროს ექსპერტების, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენელთა, დირექტორთა, მასწავლებელთა და მშობელთა შეფასებით, კერძო რეპეტიტორობა კვლავაც გავრცელებულ ფენომენს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ, მათი აზრით, ფენომენის გავრცელებულობის საერთო მასშტაბები თითქმის არ შეცვლილა, შეიცვალა რეპეტიტორობის სერვისის მომწოდებელთა და მომხმარებელთა სტრუქტურა:

- ა) კერძო რეპეტიტორობას ამ ეტაპზე უფრო მეტად ეწევიან სკოლის მასწავლებლები - შემცირდა რეპეტიტორთა შორის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური პერსონალის წილი;
- ბ) რეპეტიტორებზე მოთხოვნა თითქმის უცვლელი დარჩა ზოგადი განათლების ბოლო საფეხურზე, თუმცა გამოკითხულთა ნაწილის აზრით, მოთხოვნა გაიზარდა დაწყებით და საბაზო საფეხურზე.

2004 წლის შემდეგ საქართველოს განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა: შემოღებული იქნა ერთიანი ეროვნული გამოცდები, შემუშავდა ზოგადი განათლების ფარგლებში სწავლა-სწავლების მარეგულირებელი ახალი ზოგადი ნორმატიული დოკუმენტები - ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და ეროვნული სასწავლო გეგმა, დაიწერა ახალი სახელმძღვანელოები და შეიცვალა სკოლის მართვის მოდელი.

ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ კვლევის (2005) შედეგებს თანახმად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღების შემდეგ, საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა კორუფციის დონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის პროცესში.

კერძო რეპეტიტორობის მასშტაბების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორის შემცირების მიუხედავად, ფენომენის მასშტაბები კვლავ დიდია. სავარაუდოდ, დღეისათვის კერძო რეპეტიტორობაზე მოთხოვნას ახალი, განსხვავებული ფაქტორები განაპირობებს, რომლებიც, თავის მხრივ, განათლების სისტემაში და ზოგად კონტექსტში მომხდარ ცვლილებებს უკავშირდება.

კერძო რეპეტიტორობის მიზეზები

მშობლების, განათლების სამინისტროს წარმომადგენლების, სკოლის დირექტორებისა და განათლების სფეროს ექსპერტების აზრი ერთგვაროვანია იმასთან დაკავშირებით, რომ კერძო რეპეტიტორობის მასშტაბზე გავლენას ახდენს ზოგადი ეკონომიკური და სოციალური კოტექსტი. კერძოდ:

ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა

მოსახლეობის შემოსავალი იზრდება, ხოლო სკოლის მასწავლებლის ხელფასი იმდენად არა, როგორც მშობლების. მასწავლებლის ხელფასი დაახლოებით სამჯერ უფრო მცირეა რეპეტიტორის შემოსავალთან შედარებით. მშობელი ცდილობს, უფრო მეტი ფულის ინვესტირება მოახდინოს შვილის განათლებაში. მასწავლებელი კი ცდილობს, რომ ეს ფული დაიხარჯოს იმ სქემის გამოყენებით, რომელიც პირადად მისთვის ყველაზე მომგებიანი იქნება, ანუ კერძო რეპეტიტორის დაქირავებაში.

„მასწავლებელი ხდება დაინტერესებული იმით, რომ დამატებითი სერვისების მიწოდებით ის ფული, რომლის გადახდაც მშობელს შეუძლია მისი შვილის განათლებისთვის, სწორედ მასთან მოხვდეს“ (განათლების სფეროს ექსპერტი)

საზოგადოების არაობიექტური დამოკიდებულება რეპეტიტორობის მიმართ


საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ უმაღლესში ჩაბარება შეუძლებელია დამატებითი მომზადების გარეშე. შესაბამისად, რეპეტიტორის დაქირავება, ეროვნულ გამოცდებში წარუმატებლობისაგან თავის დაზღვევის საშუალებას წარმოადგენს. ქვეყანაში ამ ეტაპისათვის არ არსებობს გადამოწმებადი სტატისტიკა ამ მოსაზრების გასაბათილებლად.

„არის ძველი წლებიდან შემორჩენილი განცდა, რომ მოსწავლისთვის არ არის სკოლაში მიღებული ცოდნა საკმარისი იმისათვის, რომ ჩააბაროს უმაღლესში. ეს არის მყარად გამჯდარი სტერეოტიპი, რომელსაც თავის საფუძველი ჰქონდა და ახლაც აქვს, მაგრამ მე ძალიან ღრმად მწამს, რომ მოსწავლე, რომელიც კარგად სწავლობს, თუნდაც საშუალო მასწავლებელთან მისთვის დაუძლეველი არ არის უმაღლესის გამოცდა“ (დირექტორი).

კერძო რეპეტიტორობის გამომწვევი სხვა ფაქტორების მნიშვნელოვნების ანალიზისას კვლევაში მონაწილეთა მოსაზრებები გაიყო. კერძოდ, გამოიკვეთა ორი განსხვავებული მოსაზრება.

გარე მოთხოვნების არათავსებადობა

პირველი მოსაზრების თანახმად, კერძო რეპეტიტორობის მასშტაბის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზი არის შეუსაბამობა ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს შორის. ამ მოსაზრების თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოცდების მოთხოვნები ხშირად არ შეესაბამება იმას, რასაც მოსწავლეები რეალურად სწავლობენ სკოლაში. გარდა ამისა, ეროვნული გამოცდების სტრუქტურა იმგვარადაა აგებული, რომ იგი ატარებს უფრო სასელექციო და არა სასწერტიფიკაციო ხასიათს. გამოცდების ეს ტიპი გულისხმობს იმას, რომ აბიტურიენტი ფასდება არა სტანდარტებთან მიმართებაში, არამედ სხვა აბიტურიენტთან შედევებთან მიმართებაში.



„ აბიტურიენტი ვერ ”აკონტროლებს” საკუთარ შედეგს, ანუ რაც არ უნდა კარგად იყოს მომზადებული, ყოველთვის არის შანსი, რომ მასზე უკეთ ვიღაც მოემზადება“ (განათლების სფეროს ექსპერტი).

შესაბამისად, მშობელი იძულებულია დამატებით მოამზადოს ბავშვი იმისათვის, რომ მან წარმატებით დაძლიოს საგამოცდო ტესტი. სასკოლო განათლება კარგავს მნიშვნელობას, რაც აისახება სკოლაში მოსწავლეთა დასწრების დაბალ მაჩვენებლებსა და სუსტ დისციპლინაში.

„ალბათ მშობლები იმიტომ იხდიან ფულს, რომ დაზღვეულები იყვნენ. იმიტომ რომ ნამდვილად ჩააბაროს მათმა შვილმა“ (მასწავლებელი).

სკოლის დონეზე მართვის პროცესის ხარვეზები

მეორე მოსაზრების თანახმად, საქართველოში რეპეტიტორობის მასშტაბის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორი არის თავად სასკოლო განათლების დაბალი ხარისხი, რომელიც თავის მხრივ გამოწვეულია სისტემაში გატარებული ცვლილებებისადმი ადაპტირების


სირთულეებით. კერძოდ, სკოლის მართვის ახალი მოდელი, რომელიც საქართველოში 2005 წლიდან იწერება, გულისხმობს სკოლის საზოგადოების როლის გაზრდას სკოლის პრიორიტეტების განსაზღვრის, ბიუჯეტირების, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კონტროლისა და შეფასების საკითხებში. გამოკითხულთა ნაწილის აზრით, სკოლის საზოგადოება ამ ცვლილებებისთვის მზად არ არის. კერძოდ, მასწავლებლებს უჭირთ ახალი სასწავლო გეგმისა და სახელმძღვანელოების მიხედვით სწავლება, მშობლებმა არ იციან, როგორ დაეხმარონ შვილებს სწავლაში.

„ისედაც პროგრამები შეცვლილია, ჩვენ სხვანაირად ვსწავლობდით. წიგნებიც შეცვლილია, პროგრამაც სხვა გვექონდა. მე რომც ავუხსნა ჩემი ცოდნით, შეიძლება ის არ იყოს, რასაც მასწავლებელი ითხოვს“ (მშობელი).

ასევე, ნაკლებად გამართულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების კონტროლსა და სასწავლო პროცესის დაგეგმვაში მშობლის ჩართვის პროცედურა.

„მშობლებს ურჩევნიათ კერძოდ გადაუხადონ რეპეტიტორს ფული, ვიდრე სკოლას შესწირონ საკმარისი თანხა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მშობლები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი სკოლაში მათი შვილების პროგრესის შეფასების შესახებ“ (განათლების სფეროს ექსპერტი).

ვინაიდან, საზოგადოების მხრიდან სკოლაში სასწავლო პროცესის ხარისხის კონტროლის მექანიზმები სუსტია, ხოლო ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, მათ გადაჭრაში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დაბალია, საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მექანიზმები ნაკლებად ქმედითია, შესაბამისად მომხმარებელი სკოლის გარეთ ეძებს საკუთარი საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალებებს.



შესაძლო გადაწყვეტილებები:

გამოკითხული მშობლების, მასწავლებლების, დირექტორების, განათლების სფეროს ექსპერტებისა და სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლების მოსაზრებით, კერძო რეპეტიტორობა საქართველოში განათლების სისტემის განვითარების ამ ეტაპზე ორ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს - ის აკომპენსირებს განათლების ფორმალური სისტემის ხარვეზებს და ეხმარება მოსწავლეს დამატებითი ცოდნის მიღებაში.

თუმცა, მნიშვნელოვანია სათანადო ყურადღება მიექცეს კერძო რეპეტიტორობის ფენომენის არსებობის შესაძლო რისკებს. კერძოდ, არ უნდა გაღრმავდეს უთანასწორობა განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით, კერძო რეპეტიტორობამ არ უნდა გამოიწვიოს ფორმალური სასწავლო პროცესის დამახინჯება, საზოგადოებას და განათლების პოლიტიკის დაგეგმვაში ჩართულ მხარეებს ობიექტური ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ რა როლი აქვს კერძო რეპეტიტორობას ფორმალური განათლების საფეხურებს შორის მობილობის (ზოგადი განათლების საფეხურიდან უმაღლესი განათლების საფეხურზე გადასვლის) თვალსაზრისით.

ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები არ ეხება ისეთ სისტემურ საკითხებს, რომელთა გადაჭრისათვის ჩარევის კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო. ამგვარი საკითხების ნუსხას მიეკუთვნება, მაგალითად, სასწავლო გეგმისა და გამოცდების შინაარსის შესაბამისობის უზრუნველყოფა, მასწავლებლის ხელფასის ზრდა ან კერძო რეპეტიტორობის პრაქტიკის დაბეგვრის საკითხები.

ამ თავში თავმოყრილია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული ის რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება ნაკლები მხარეების ჩართულობას გულისხმობს, ნაკლებად მოახდენს გავლენას სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან სხვა სფეროებზე, პროცესებსა თუ სისტემებზე, ნაკლებ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და განსახორციელებლად უფრო მარტივია.

კერძოდ, კვლევაში ჩართულ ექსპერტთა, სკოლის საზოგადოებისა და სამინისტროს წარმომადგენელთა მოსაზრებით, კერძო რეპეტიტორობასთან დაკავშირებული რისკების შემცირებისათვის საქართველოში ამ ეტაპზე მიზანშეწონილი იქნებოდა:

სკოლის დონეზე სასწავლო პროცესის ხარისხის და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების სრულყოფა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

ამ რეკომენდაციის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია სკოლის საზოგადოების შესაძლებლობების - ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების საკითხებში. სკოლას თავად უნდა შეეძლოს, ოპერატიულად აღმოაჩინოს ხარვეზები სასწავლო პროცესში, უზრუნველყოს ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული მხარისათვის და ამ მხარეების ჩართვა ხარვეზების აღმოფხვრის სტრატეგიის დასახვასა და განხორციელებაში. ამ კუთხით სკოლებს სჭირდებათ გადამზადება და კონსულტაციები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიძლება თავად მოახდინოს საწვრთნელი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, ისევე როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა კერძო მომწოდებლების ჩართვა ამ მომსახურების უზრუნველყოფაში. შესაძლებელია გამოიცეს დამხმარე სახელმძღვანელოები სკოლებისათვის სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე.

ფენომენის ზეგავლენის დადგენა სწავლის შედეგებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის მაჩვენებლებზე

დღეისათვის საქართველოში არ არსებობს სანდო მონაცემები იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს კერძო რეპეტიტორობას მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე, სწავლის შედეგებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის მაჩვენებლებზე. მნიშვნელოვანია, დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი კვლევითი პროექტები ამ საკითხში მეტი სიცხადის შეტანისათვის. საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს ამგვარი კვლევების შედეგების შესახებ. ამ კვლევის შედეგები, აგრეთვე, გათვალისწინებული უნდა იყოს კერძო რეპეტიტორობასთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში

სტრუქტურიზებული მექანიზმების შემუშავება მშობლების ფინანსური შესაძლებლობების გამოყენებისათვის

ბიუჯეტების პროცესი სკოლაში ამ ეტაპზე არ არის დაფუძნებული მონაწილეობის პრინციპზე. მშობლებს მეტი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ რა მექანიზმები არსებობს იმისათვის, რომ ისინი ფინანსურად დაეხმარონ სკოლას. როგორ, რა გზით არის შესაძლებელი, რომ სურვილის შემთხვევაში, მშობელმა მონაწილეობა მიიღოს თანხების მობილიზებაში, რომელიც სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისათვის დამატებითი საგანმანათლებლო სერვისის უზრუნველყოფას მოხმარდება.

დამატებითი ადამიანური რესურსების მობილიზება

დამატებითი საგანმანათლებლო სერვისის უზრუნველყოფისათვის სკოლის დონეზე შეიძლება მოხდეს დამატებითი ადამიანური რესურსების მობილიზება. კერძოდ, ამ პროცესში შეიძლება ჩაერთონ უფროსი კლასების მოსწავლეები, მასწავლებლის სტატუსის მამიებელი პირები, პენსიაზე მყოფი მასწავლებლები.

ალტერნატიული მომსახურების შექმნა

სასწავლო პროცესის მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე უკეთ მორგების მიზნით, სკოლის ფარგლებში შეიძლება დაიგეგმოს დამატებითი მომსახურება: ჯგუფები გაკვეთილების შემდეგ, საზაფხულო სკოლები სკოლებშივე, საგანმანათლებლო დისტანციური უფასო პროგრამები და სხვ.

მშობელთა ჩართულობის გაზრდა სასკოლო განათლების ხარისხის მონიტორინგის პროცესში

მოსწავლეთა შეფასების ფორმალური სისტემა გულისხმობს მოსწავლის არა მხოლოდ ნიშნით შეფასებას, არამედ ე.წ. განმავითარებელ შეფასებასაც, რომელშიც დეტალურად აღიწერება მოსწავლის პროგრესი და პრობლემები. მნიშვნელოვანია, რომ დაიხვეწოს კომუნიკაცია მშობელსა და მასწავლებელს შორის მოსწავლის პროგრესის კონტროლის პროცესში, რათა მშობელი დროულად იყოს ინფორმირებული მოსწავლის პრობლემებისა და მიღწევების შესახებ. ეს კომუნიკაცია უნდა ატარებდეს სისტემურ ხასიათს, ინტეგრირებული იყოს სკოლის ზოგად პროცესებში.

საუნივერსიტეტო კვლევითი რესურსის გამოყენება სასწავლო პროცესის ხარვეზების გამოსავლენად

სასწავლო პროცესის კონკრეტული სუსტი მხარეებისა და ხარვეზების გამოვლენისათვის სკოლამ შეიძლება შეიმუშავოს თვითშეფასების კონკრეტული მექანიზმები, ისევე როგორც მიმართოს გარე რესურსებს - მაგალითად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ამგვარი მიდგომა არ არის დაკავშირებული დიდ ფინანსურ დანახარჯებთან, რადგან უმაღლესი სასწავლებლები, სკოლის თანხმობის შემთხვევაში, თავადაც დაინტერესებულნი არიან ამგვარი კვლევითი პროექტების განხორციელებით. უმაღლესი სასწავლებლების ჩართვა სკოლის პრობლემატიკის კვლევის საქმეში, ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს კონკრეტულ სკოლებში სასწავლო პროცესის სპეციფიური პრობლემების იდენტიფიკაციასა და აღმოფხვრას, ისევე როგორც ზოგადად, ბიძგს მისცემს ახალი ცოდნის წარმოქმნას საქართველოში სასკოლო განათლების ხარვეზებისა და წარმატების შესახებ.

მიზნობრივი ტრენინგ პროგრამების შემუშავება მასწავლებლებისათვის

სკოლის დონეზე სასწავლო პროცესში (მაგალითად, ცალკეული საგნის სხვადასხვა საფეხურზე სწავლების მხრივ) გამოვლენილი კონკრეტული პრობლემების ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე შეიძლება შემუშავდეს სპეციალური მიზნობრივი გადამზადების პროგრამები მასწავლებლებისათვის.